კორპორატიული სტრატეგიის დაგეგმვა და აღსრულება

ლექტორი

არჩილ დადიანი

კურსის დრო

10 შეხვედრა (20 საათი)
(1.5 საათი ლექცია + 0.5 საათი დისკუსია)

სასწავლო კურსის მიზნები

კორპორატიული სტრატეგიის დაგეგმვისა და აღსრულების კურსის მიზანია მონაწილეებს მიაწოდოს სტრატეგიული დაგეგმვის პრინციპებისა და ინსტრუმენტების სტრუქტურირებული გაგება.

კურსის მსმენელებს შესაძლებლობა ექნებათ გაეცნონ სხვადასხვა ანალიტიკურ ინსტრუმენტებს (SWOT, PESTEL, Porter’s five forces), რათა ეფექტურად შეაფასონ ორგანიზაციის შიდა და გარე გარემო, განივითარონ სტრატეგიული აზროვნება და გადაწყვეტილების მიღების უნარები გრძელვადიანი საქმიანობის წარმატებისთვის.

კურსის მსვლელობისას, მონაწილეები გაეცნობიან სტრატეგიის აღსრულების, მისი ეფექტიანობის გაზომვისა და დახვეწის სხვადასხვა ინსტრუმენტებს (KPI, OKR, BSC).

სასწავლო კურსის შინაარსი

ლექცია 1: შესავალი სტრატეგიულ დაგეგმვაში

- კურსის მიმოხილვა
- სტრატეგიული დაგეგმვის განმარტება, მნიშვნელობა და სარგებელი
- სტრატეგიული დაგეგმვის ინსტრუმენტების მიმოხილვა (მაგ., SWOT, PESTEL, Porter's Five Forces)
- სტრატეგიული დაგეგმვის როლი ორგანიზაციის წარმატებაში
- კითხვა-პასუხი I დისკუსია

ლექცია 2: ხედვა, მისია და ძირითადი ღირებულებები

- როგორ განვსაზღვროთ ხედვა და მისია
- ძირითადი ღირებულებების გავლენა კორპორატიულ კულტურასა და გადაწყვეტილების მიღებაზე
- კითხვა-პასუხი I დისკუსია

ლექცია 3: გარემოს სკანირება და ინდუსტრიის ანალიზი

- PESTEL-ის ანალიზის ჩატარება გარე ფაქტორების გასაგებად
- პორტერის ხუთი ძალა ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობის ანალიზისთვის
- ბაზრის ძირითადი ტენდენციებისა და რისკების იდენტიფიცირება
- **კითხვა-პასუხი I დისკუსია**

ლექცია 4: ორგანიზაციის შიდა ანალიზი და შესაძლებლობები

- SWOT ანალიზი შიდა სიძლიერისა და სისუსტის იდენტიფიკაციისთვის
- რესურსებზე დაფუძნებული პერსპექტივა (RBV-The resource-based view) და ძირითადი კომპეტენციები
- ორგანიზაციული შესაძლებლობების გამოყენება კონკურენტული უპირატესობისთვის
- **კითხვა-პასუხი I დისკუსია**

ლექცია 5: სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების დასახვა

- SMART კრიტერიუმები მიზნებისა და ამოცანების დასახვისთვის
- ფინანსური რესურსების სტრატეგიულ მიზნებზე მორგება
- **კითხვა-პასუხი I დისკუსია**

ლექცია 6: რისკების მართვა სტრატეგიულ დაგეგმარებაში

- სტრატეგიის განხორციელებაში პოტენციური რისკების იდენტიფიცირება (ISO 9001 პრაქტიკის საფუძველზე)
- რისკის შერბილების ტექნიკა და საგანგებო დაგეგმვა (ISO 9001 პრაქტიკის საფუძველზე)
- **კითხვა-პასუხი I დისკუსია**

ლექცია 7: სტრატეგიის მოქმედებაში გადაყვანა

- კომუნიკაცია დაინტერესებულ მხარეებთან და მათი ჩართვა პროცესში
- ორგანიზაციული სტრუქტურის სტრატეგიასთან სინქრონიზება
- აქტივობების დელეგირება სტრუქტურულ ერთეულებზე
- სტრატეგიული მიზნების ოპერატიულ გეგმებად გადაქცევის პრაქტიკული ნაბიჯები
- **კითხვა-პასუხი I დისკუსია**

ლექცია 8: სტრატეგიის აღსრულების ეფექტიანობის გაზომვა

- აქტივობების მონიტორინგი შესრულების მაჩვენებლების მეშვეობით
- KPI თუ OKR: სწორი საზომი ინსტრუმენტის არჩევა
- **სავარჯიშო:** KPI სისტემის შექმნა ბიზნეს სცენარისთვის

ლექცია 9: სტრატეგიის მიმოხილვა, რეპორტინგი და დახვეწა

- სტრატეგიული მიმოხილვის შეხვედრების ჩატარება და ცვლილებებისადმი ადაპტაცია
- მიღებული გაკვეთილები და უწყვეტი გაუმჯობესება
- კითხვა-პასუხი I დისკუსია

ლექცია 10: ფინალური პროექტი

სასწავლო კურსის სწავლის შედეგები

- ტრენინგ-კურსის დასრულების შემდეგ, მონაწილეებს ექნებათ ყოვლისმომცველი გაგება სტრატეგიული დაგეგმვის მნიშვნელობისა და მისი როლის შესახებ ორგანიზაციის წარმატებაში;
- მათ შეეძლებათ გამოიყენონ სტრატეგიული ინსტრუმენტები, როგორიცაა SWOT, PESTEL და Porter's Five Forces ანალიზისთვის, ასევე განსაზღვრონ და ჩამოაყალიბონ მკაფიო ხედვა, მისია და ორგანიზაციის ძირითადი ღირებულებები;
- კურსის მონაწილეები ასევე მიიღებენ შესაძლებლობას ჩაატარონ გარემოს სკანირება და ინდუსტრიის ანალიზი რისკებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირებისთვის, გამოიყენონ SWOT ანალიზი და რესურსებზე დაფუძნებული პერსპექტივა (RBV-The resource-based view) შიდა შესაძლებლობების შესაფასებლად და დასახონ ორგანიზაციის სტრატეგიული მიზნები;
- მათ შეეძლებათ სტრატეგიული რისკების იდენტიფიცირება და მართვა ISO 9001 სტანდარტზე დაფუძნებული რისკების მართვის პრაქტიკის გამოყენებით, ეფექტურად თარგმნონ სტრატეგია ოპერაციულ აქტივობებად, უზრუნველყონ მათი დელეგირება შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებზე და დააკვირდნენ შესრულების პროგრესს;
- კურსი უზრუნველყოფს, რომ მონაწილეებმა მიიღონ როგორც თეორიული ცოდნა, ასევე პრაქტიკული უნარები სტრატეგიული გეგმების წარმატებით შემუშავებისა და აღსრულებისთვის.

ლექტორის შესახებ

- არჩილ დადიანს აქვს მდიდარი გამოცდილება სტრატეგიული დაგეგმვის, მისი აღსრულებისა და მენეჯმენტის მიმართულებით. მისი 20-წლიანი კარიერა მოიცავს საზოგადოებრივ, კერძო და სახელმწიფო სექტორებს;
- მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა თავდაცვის სისტემის განვითარებაში. მუშაობდა ეროვნული თავდაცვის აკადემიის სტრატეგიული სამოქმედო გეგმების შემუშავებასა და განხორციელებაზე, თანამედროვე აკადემიური პროგრამების შექმნასა და სამხედრო

განათლების ეროვნული აკრედიტაციის უზრუნველყოფაზე. მისმა ძალისხმევამ, „ჯენერალ დაინამიქსის“ ექსპერტთა გუნდთან ერთად, გააძლიერა ეროვნული თავდაცვის აკადემიის სასწავლო პროგრამები და უზრუნველყო მათი შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან. ასევე, მის მიერ შემუშავდა და დაინერგა ეროვნული თავდაცვის აკადემიის თანამედროვე ორგანიზაციული სტრუქტურა. 2013 წელს მას მიენიჭა ღირსების ორდენი თავდაცვის სისტემის განვითარებაში განსაკუთრებული წვლილისთვის;

- მის მიერ განხორციელებული მრავალი პროექტიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავება და მისი განხორციელების პროცესის ზედამხედველობა. მისი ხელმძღვანელობით უნივერსიტეტში დაინერგა და შემდგომ წარმატებით მოიპოვა ISO 9001 სტანდარტის სერტიფიკატი;
- კარიერის განმავლობაში მან გამოავლინა ძლიერი უნარი ორგანიზაციული ცვლილებების მართვის, პროცესების ოპტიმიზაციისა და საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობის განვითარების კუთხით. არჩილ დადიანის პროფესიული საქმიანობა სხვადასხვა სფეროს მოიცავს, თუმცა მისი ყველა როლის მთავარი საერთო თემაა ინოვაციური ხედვების დანერგვა, ეფექტიანობის გაზრდა და მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა;
- გარდა ამისა, მას აქვს ფართო გამოცდილება საერთაშორისო პარტნიორობის ჩამოყალიბებასა და საერთაშორისო პროექტების განვითარება-განხორციელებაში, თავდაცვის, განათლებისა და კიბერუსაფრთხოების მიმართულებით.